



ახალბეგრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

„ეთნიკური უმცირესობების ფორუმი - 2015“

ეროვნულ უმცირესობათა თემებში

აღმოსავლეთ პარტნიორობის წინ წაწევის მიზნით

საინფორმაციო კამპანია



MINORITIES NETWORK
EASTERN PARTNERSHIP



© ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
ივნისი, 2015
ქ. თბილისი

ანგარიშზე მუშაობდა

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდი

პროექტის მენეჯერი

არჩილ კაიკაციშვილი

პროექტის კოორდინატორი

ნინო ისკაძე

ანგარიშის რედაქტორი

ჯუმბერ სირაბიძე

ანგარიშის რედაქტორის ასისტენტი

ბექა ჯავახიშვილი

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

ცაბო გუგუნაშვილი

მთარგმნელი

მარიამ იოზაშვილი

ფინანსური მენეჯერი

გულო არევაძე

ტრანსპორტირება:

თამაზ დვალიშვილი

ანგარიში მომზადდა:

*„ეთნოსთა შორის თანამშრომლობისა და კონსულტაციების
ანალიტიკური ცენტრის - ACICC“-ის 2015 წლის მცირე
გრანტების აღმოსავლეთ პარტნიორობის უმცირესობათა
ქსელის პროგრამის ფარგლებში.*

**კვლევაში წარმოდგენილი ინფორმაციის გამოყენება
შესაძლებელია მხოლოდ წყაროს მითითებით.**

ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
ცაბო გუგუნაშვილი – 599 010344

© ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“

შინაარსი¹

შესავალი.....	5
საქართველო ევროკავშირის გზაზე.....	8
რა არის ევროკავშირი?	8
ევროკავშირის ისტორია.....	8
როგორ გავწევრიანდეთ ევროკავშირში?	9
ევროკავშირის პოლიტიკა.....	9
საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის მოკლე ისტორია	11
საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის სათავეებთან.....	14
როდის ჩამოყალიბდა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამა?	14
რომელი ქვეყნები შედის ამ პროგრამაში?	14
რას გულისხმობს პროგრამა?	14
რა ფორმატში მიმდინარეობს თანამშრომლობა? (სამიტების განრიგი).....	14
მიზანი და თანამშრომლობის პერსპექტივები.....	15
ორმხრივი თანამშრომლობა	15
მრავალმხრივი თანამშრომლობა	16
აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში საქართველოში ჩატარებული ღონისძიებები	16
„ევრონესტი“ (EURONEST) -თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეა	18
„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი	18
როდის დაფუძნდა ფორუმი?.....	18
რამდენი ჯგუფი ფუნქციონირებს ფორუმში?	19
ფორუმის სხდომები	19
ეროვნული პლატფორმები.....	19
საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება	20
რა ეწოდება ოფიციალურად „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“?.....	20
რა არის „ასოცირების შესახებ შეთანხმება“?	20
როგორ მიმდინარეობდა მოლაპარაკებები „ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე“?	21
რა სტრუქტურა აქვს შეთანხმებას?	21
რას ითვალისწინებს შეთანხმება?	23

¹ მონიტორინგის შედეგების ელექტრონული ვერსია განთავსებულია ორგანიზაციის ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე: www.barristers.ge

რა არის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე? (DCFTA).....	24
რა სარგებელს ითვალისწინებს DCFTA?.....	24
რა სარგებელს მიიღებენ საქართველოს მოქალაქეები „ასოცირების შესახებ შეთანხმებისგან“?.....	25
ითვალისწინებს თუ არა „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ევროკავშირში გაწევრიანებას?.....	25
რა არის ნათქვამი შეთანხმებაში კონფლიქტის მოგვარებაზე?	26
რას ითვალისწინებს შეთანხმება ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით?.....	27
რას ითვალისწინებს შეთანხმება დემოკრატიული რეფორმების კუთხით?	28
რა არის ნათქვამი ასოცირების შესახებ შეთანხმებაში უმცირესობათა უფლებებზე?	28
რა გავლენას მოახდენს შეთანხმება დარგობრივი პოლიტიკის სფეროებზე?	28
რას შეუწყობს ხელს „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გაფორმება?	29
რა პერსპექტივებს ითვალისწინებს შეთანხმება განათლებისა და მეცნიერების სფეროში? ...	33
გაღრმავდება თუ არა საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგი?.....	34
რა როლი ექნება „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ პროცესში სამოქალაქო საზოგადოებას?.....	34
როგორ მოხდება ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოვება?	35
როგორ დაეხმარება ევროკავშირი საქართველოს შეთანხმების იმპლემენტაციაში?	35
ვრცელდება თუ არა შეთანხმება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/ე.წ. სამხრეთ ოსეთი რეგიონებზე?	35
რა არის ასოცირების დღის წესრიგი?.....	36
ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისია.....	36
ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების რატიფიკაციის სტატუსი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ (2015 წლის 10 ივნისის მდგომარეობით).....	37
უმცირესობათა უფლებები აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის ფარგლებში	39
საქართველოს მოსალეობის ეთნიკური მრავალფეროვნება	39
ეთნიკური უმცირესობები და ევროპული არჩევანი	40
ეთნიკური უმცირესობების არჩევით დემოკრატიაში თანამონაწილეობა	40

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი მომზადდა „ეთნოსთა შორის თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრის - ACICC“-ის 2015 წლის მცირე გრანტების აღმოსავლეთ პარტნიორობის უმცირესობათა ქსელის პროგრამის ფარგლებში, რომლის მიზანია, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებულობის, ჩართულობის და განათლების გაზრდა აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის შესახებ, საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის შესახებ, საჯარო დიალოგის პროვოცირება და რეგიონებში თემის აქტუალურობის გაზრდა, ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლება ქვეყნის ინსტრუქციონალური განვითარებისთვის მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. პროექტის ფარგლებში, სამიზნე ჯგუფად შეირჩა ქვემო ქართლში, კერძოდ: მარნეულის მუნიციპალიტეტსა და სამცხე-ჯავახეთში, კერძოდ, ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, რადგანაც მნიშვნელოვანია, ქვეყნის ეთნიკურ უმცირესობების წარმომადგენლებს, თანაბრად მიუწვდებოდეთ ხელი საქართველოს ევროინტეგრაციის მიმართულებით არსებულ მიღწევებზე.

ევროპული არჩევანი საპასუხისმგებლო, ისტორიული მომენტია, ამ პროცესში კი ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა ახალი საზოგადოებრივი თვითშეგნების, მართლწესრიგისა და სოციალური გარემოს შექმნისთვის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი, თუმცა, ჯერ კიდევ არ მომზადრა მათი სათანადოდ ინფორმირება, თუ რა პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი. პრობლემის დაძლევისთვის საჭიროა მათ ჰქონდეთ სრულფასოვანი ინფორმაცია ევროპული არჩევანის სიკეთებისა და მნიშვნელობის შესახებ, ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის და პროგრამის ფარგლებში უმცირესობათა უფლებების ადვოკატირების შესახებ. ამიტომაც, ეროვნულ უმცირესობათა თემებში, აღმოსავლეთ პარტნიორობის წინ წაწევის მიზნით, ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ წარმოდგენილი პროექტი: „ეთნიკური უმცირესობების ფორუმი - 2015“, კიდევ უფრო მეტ სიცხადეს შეიტანს ადგილობრივ დონეზე საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიმართულებების, მნიშვნელობისა და პერსპექტივების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციის მიერ მომზადებული საინფორმაციო კამპანია მხოლოდ საქართველოში არ ტარდება. დონორი ორგანიზაციის მხრიდან, მსგავსი ღონისძიებები ჩატარდება აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ სხვა ქვეყნებშიც (მოლდოვა, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ბელორუსი), რათა გაიზარდოს უმცირესობათა თემების ცნობიერების ამაღლება აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის საკითხებზე.

პროექტის მიზანია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის ინფორმირება, ჩართულობა და ნდობის გაზრდა შემდეგი მიმართულებებით:

1. ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფების ცნობიერების ამაღლება აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის შესახებ;

2. სამიზნე აუდიტორიის ინფორმირება საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის პროცესების შესახებ;
3. სამიზნე აუდიტორიის ინფორმირება აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის ფარგლებში უმცირესობათა უფლებების როლის შესახებ;
4. საჯარო დიალოგი და საკითხის აქტუალიზაცია ეთნიკურად არაქართულენოვან რეგიონებში;
5. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდა ქვეყნის ინსტიტუციური განვითარებისთვის მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ,

ორგანიზაციამ ყურადღება შეაჩერა ამ კონკრეტულ მიზნებზე იქედან გამომდინარე, რომ მნიშვნელოვანია, საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ჰქონდეთ მკაფიო სამოქალაქო ხედვა, სათანადო ინფორმაცია თავიანთი უფლებების შესახებ და საჭირო პასუხისმგებლობა. შესაბამისად, პროექტის ამოცანებიც შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

1. ფართო დიალოგის წარმოება ეთნიკურად არაქართულენოვანი რეგიონის მაცხოვრებლებთან და ქვეყნის ევროპული არჩევანის ინსტიტუციური მნიშვნელობის დასაბუთება;
2. ევროპული მართლწერივისა და სამოქალაქო ღირებულებების უპირატესობის დასაბუთება;
3. ეთნიკურად არაქართულენოვანი რეგიონის მაცხოვრებლების დაინტერესება არჩევით დემოკრატიაში აუცილებელი თანამონაწილეობისთვის;
4. თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ მეტი ინფორმაციის მიწოდება.

პროექტის ფარგლებში, შერჩეულ მუნიციპალიტეტებში, ჩატარდება ორი შეხვედრა, სახელწოდებით: „ეთიკური უმცირესობების ფორუმი - 2015“ და მასში მონაწილეობას მიიღებს რეგიონის საგანმანათლებლო სფეროს, თვითმმართველობისა და ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. დიალოგის თემა იქნება: „საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები, ამჟამინდელი კავშირები და პერსპექტივები“, ასევე: „საქართველო და აღმოსავლეთ პარტნიორობის სისტემა“, რომელსაც ორგანიზაციის სამართლის სპეციალისტები მოამზადებენ. ამასთან. დიალოგის ფორმატი მიმართული იქნება, ერთი მხრივ შეკრებილი საზოგადოებისთვის თემების მიმართ უახლესი ცნობების მიწოდებით, მეორე მხრივ მსჯელობა დაეთმობა ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ჩართულობის, პასუხისმგებლობის, როლისა და შესაძლებლობების გაზრდას. ფორუმის მონაწილეებს, ადგილზე დახვდებათ ქართულ-რუსულენოვანი სპეციალური ანგარიში, რომელშიც ვრცლად იქნება წარმოდგენილი საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები, საქართველო და აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატი. ამ პროცესში, ცაკლე თავი დაეთმობა ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის, თანამონაწილეობისა და უფლებების საკითხს. ანგარიში შემდგომში,

ასევე გადაეცემათ რეგიონის საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ბიბლიოთეკებს, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებს, თვითმმართველობებს.

ეთნიკურ უმცირესობათა ფორუმის მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება აღნიშნული ჯგუფის პირდაპირი დიალოგის შესაძლებლობა საქართველოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რათა მონაწილეებმა დასვან აქტუალური საკითხები და ქვეყნის ეროვნული არჩევანის დაცვაზე პასუხისმგებელი პირებისგან, მიიღონ კვალიფიციური/პირდაპირი პასუხი.

ფორუმში მონაწილეობის მისაღებათ, მოწვეული იქნა შემდეგი უწყებები: საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საგარეო საქმეთა სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, საინფორმაციო ცენტრი ნატო-სა და ევროკავშირის შესახებ. ასევე, რეგიონის რწმუნებულის აპარატები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საგანმანათლებლო რესურსცენტრები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი მედია. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო უწყებებმა პროექტის ფარგლებში ჩართულობისა და მხარდაჭერის მაღალი ინტერესი გამოხატეს.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ მადლობას უხდის ყველა საჯარო უწყებას და პროექტში მონაწილე მოქალაქეებს აქტიური სამოქალაქო პოზიციისთვის. ასევე, მადლობას უხდის „ეთნოსთა შორის თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრს - ACICC“ ნდობისთვის, რითაც პროექტის ეთნიკურ უმცირესობებში ჩატარების შესაძლებლობა გაჩნდა.

საქართველო ევროკავშირის გზაზე რა არის ევროკავშირი?

ევროპის კავშირი ევროპის სახელმწიფოთა მსხვილი პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც 28 ევროპულ სახელმწიფოს აერთიანებს. ევროკავშირის წევრი ქვეყნების საერთო ფართობი 3.892 ათასი კვ.კმ-ია, მოსახლეობა – 455მლნ. ევროკავშირის მთავარი დევიზია **In varietate Concordia** (ერთიანობა მრავალფეროვნებაშია).

ევროკავშირის წევრი ქვეყნები:

1950: ბელგია, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, საფრანგეთი
1973: დანია, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია
1981: საბერძნეთი
1986: ესპანეთი, პორტუგალია
1995: ავსტრია, ფინეთი, შვედეთი
2004: ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი
2007: ბულგარეთი, რუმინეთი
2013: ხორვატია

ევროკავშირის ისტორია

ევროკავშირის ისტორია იწყება 1951 წლიდან, როდესაც ექვსმა ქვეყანამ (დასავლეთ გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ლუქსემბურგი, ჰოლანდია) დააარსა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის თანამეგობრობა. თანამეგობრობა დაარსდა 50 წლის ვადით და ევროკავშირში მისი ინტეგრაცია 2002 წელს მოხდა. 1957 წელს შეიქმნა ევროპული თანამეგობრობა – ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა, ანუ „საერთო ბაზარი“. ამავე წელს შეიქმნა ატომური ენერგიის ევროპული თანამეგობრობა.

1967 წელს, ბრიუსელში დადებული გაერთიანების ხელშეკრულებით, ზემოაღნიშნული სამი თანამეგობრობა გაერთიანდა ერთიანი სახელის ქვეშ – ევროპული თანამეგობრობა.

1973 წელს, ევროთანამეგობრობას შეუერთდა ინგლისი, ირლანდია და დანია, 1981 წელს საბერძნეთი, 1986 წელს - ესპანეთი და პორტუგალია.

1993 წელი ევროკავშირის ფორმალური დაარსების თარიღია, როდესაც მაასტრიხტის ხელშეკრულებით ტერმინი „ევროპის თანამეგობრობა“ „ევროკავშირმა“ ჩაანაცვლა. ხელშეკრულების მიზანი ევროპის ხალხებს შორის კიდევ უფრო მჭიდრო კავშირის შექმნა იყო. 1995 წელს ევროკავშირს ავსტრია, ფინეთი და შვედეთი შეუერთდა და ევროკავშირის გაფართოება დღემდე გრძელდება (2013 წელს ევროკავშირის უახლესი წევრი ხორვატია გახდა).

2001 წელს სახელმწიფოთა მეთაურების დეკლარაციით, ევროკავშირის კონსტიტუციის შექმნის წინადადება წამოიჭრა. კონსტიტუციის მიზანი იყო ევროკავშირის თანამეგობრობისა და ევროკავშირის ნაცვლად, კონსტიტუციაზე დაფუძნებული ერთიანი ევროკავშირის დაარსება. რეფორმების იდეამ კრაზი

განიცადა და 2007 წლიდან ახალი რეფორმები მომზადდა, რომელმაც ევროკავშირის კონსტიტუციის იდეა ერთიანი ხელშეკრულების შექმნის იდეით ჩაანაცვლა. რეფორმა წარმატებული აღმოჩნდა და 2007 წელს მომზადებული ლისაბონის ხელშეკრულება ძალაში 2009 წელს შევიდა.

როგორ გავწევრიანდეთ ევროკავშირში?

ევროკავშირში გასაწევრიანებლად საჭიროა სამი ძირითადი პირობის, ე.წ. „კოპენჰაგენის კრიტერიუმების“ (პოლიტიკური, ეკონომიკური და **community acquis** კრიტერიუმები) დაკმაყოფილება:

1. დემოკრატიის, მართლწესრიგის, ადამიანის უფლებების და უმცირესობების დაცვის მაგარანტირებელი ინსტიტუტების სტაბილურობა - პოლიტიკური კრიტერიუმი;
2. ევროკავშირის საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების და შეჯიბრებითობის, სხვა საბაზრო პირობებისთვის მორგების უნარი – ეკონომიკური კრიტერიუმი;
3. ევროკავშირის წევრების ვალდებულებების დაკისრება, მათ შორის ევროკავშირის პოლიტიკური, ეკონომიკური და სავალუტო მიზნების დაცვა - ცომმუნიტყ აცქუის კრიტერიუმი.

კანდიდატი ქვეყნები მიერთების განცხადებით მიმართავენ ევროკავშირის საბჭოს, რომელიც გადაწყვეტილებას ერთსულოვნად იღებს. კანდიდატებმა, ასევე უნდა აცნობონ ევროპარლამენტსა და ეროვნულ პარლამენტებს, თუმცა ისინი გადაწყვეტილების პროცესში არ მონაწილეობენ.

აღსანიშნავია, რომ ლისაბონის ხელშეკრულებით პირველად ხდება ევროკავშირიდან გამოსვლის მუხლის მიღება. ევროკავშირიდან გასვლას წყვეტს ევროკავშირის საბჭო კვალიფიციური უმრავლესობით და ევროპარლამენტის თანხმობით. თუ ეს ქვეყანა მომავალში კვლავაც მოინდომებს წევრობას, მას ახლიდან მოუწევს განცხადების გაკეთება და შესვლის კრიტერიუმების დაკმაყოფილება. ისტორიულად ევროკავშირიდან გავიდა გრინლანდიის სემიავტონომიური ტერიტორია.

ევროკავშირის პოლიტიკა

ევროკავშირის პოლიტიკა თავისი უნიკალური ბუნებიდან გამომდინარე, სხვა ორგანიზაციების პოლიტიკისგან რადიკალურად განსხვავებულ ფენომენს წარმოადგენს. ევროკავშირის პოლიტიკის განხილვისას მნიშვნელოვანია ევროკავშირის შიდა და გარე მიმართულებების გამოყოფა.

ევროკავშირი კონფედერაციის მსგავსი ერთეულია, სადაც სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულებები ფედერალიზებულია შესაბამის უფლებამოსილ

ინსტიტუციებში. პოლიტიკის მიმართულებები განისაზღვრება თავად წევრი სახელმწიფოების მიერ. ევროკავშირში, არსებითი ცვლილებების განსახორციელებლად, საჭიროა ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობა.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებზე ვრცელდება საერთო ევროკავშირის სამართალი, რომელიც შიდა სამართალზე მაღლა დგას. ევროკავშირის ხელშეკრულებები ცხადყოფს ევროკავშირის დემოკრატიულ საფუძვლებს.

სამართლებრივად ევროკავშირი ხელშეკრულებათა ერთიანობას წარმოადგენს, რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის განსაზღვრული საერთო უფლება-მოვალეობები. რაც შეეხება ევროკავშირის კომპეტენციებს, ორი მიმართულების გამოყოფაა შესაძლებელი. ერთის მხრივ, არსებობს საკითხები, სადაც ევროკავშირი ფლობს ექსკლუზიურ კომპეტენციას და წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან დაექვემდებარონ ევროკავშირის ზოგად სტანდარტებს. რიგ შემთხვევებში კი ევროკავშირი დამხმარე როლს ასრულებს წევრი ქვეყნების ქმედებებში და ისინი დამოუკიდებლად განსაზღვრავენ კომპეტენციებს.

ევროკავშირის პოლიტიკის მიმართულებებს სხვადასხვა უფლებამოსილი ორგანოები ახორციელებენ. ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუტებია: ევროპის პარლამენტი, ევროპის საბჭო, ევროკავშირის საბჭო და ევროკომისია. ევროპის პარლამენტი 5 წელიწადში ერთხელ აირჩევა ევროკავშირის ხალხის მიერ და მის მთავარ საქმიანობას ევროპული კანონების მიღება წარმოადგენს. საბჭოსთან ერთად, მის კომპეტენციაში შედის, ასევე ევროკავშირის წლიური ბიუჯეტის დამტკიცება.

ევროპის საბჭო განსაზღვრავს ევროკავშირის ზოგად პოლიტიკასა და პრიორიტეტებს. ევროპის საბჭო იკრიბება ყოველ ექვს თვეში ორჯერ, პრეზიდენტის მოწვევით. რიგ შემთხვევაში, ხდება სპეციალური მოწვევებიც. ევროპის საბჭოს შემადგენლობას წარმოადგენს წევრი ქვეყნების მთავრობისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელები, პრეზიდენტთან და კომისიის პრეზიდენტთან ერთად. ევროპის საბჭო ჩვეულებრივ ბრიუსელში იკრიბება.

ევროკავშირის საბჭო ევროკავშირის გადაწყვეტილებების მიმღები ორგანოა. იგი მონაწილეობს კანონშემოქმედებით საქმიანობაშიც. ევროკავშირის საბჭოს შეხვედრებს განსახილველ საკითხზე პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს მინისტრები ესწრებიან.

ევროკომისია ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოა და ევროკავშირის საერთო ინტერესს წარმოადგენს. იგი შეიმუშავებს კანონპროექტებს და წარუდგენს პარლამენტსა და საბჭოს. განახორციელებს ევროკავშირის საერთო პოლიტიკას და განაგებს ფონდებსა და პროგრამებს.

საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის მოკლე ისტორია

1992 წელს, ევროგაერთიანებამ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნო და დაიწყო მასთან აქტიური თანამშრომლობა. სწორედ 1994 წლიდან დაიწყო საქართველომ ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებაზე მუშაობა (PCA). ამ შეთანხმებამ, რომელიც ლუქსემბურგში 1996 წლის 22 აპრილს იქნა ხელმოწერილი, განსაზღვრა ის ძირითადი ჩარჩო, რომლის მიხედვითაც უნდა განვითარებულიყო საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობები. აღნიშნულ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1999 წელს.

1997 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, საქართველომ დაიწყო ქვეყნის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. 2003 წლის 7 ივლისს, ევროკავშირმა სამხრეთ კავკასიის რეგიონში თავისი სპეციალური წარმომადგენელი (EU Special Representative for the South Caucasus) დანიშნა, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ამ რეგიონის ქვეყნებისადმი თავის ინტერესს.

2006 წლის ნოემბერში, საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის დასრულდა საქართველო-ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შეთანხმება, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების განხორციელებას. სამოქმედო გეგმა 2006 წლის 14 ნოემბერს იქნა მიღებული.

2008 წლის 15 სექტემბერს, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება ევროკავშირის მონიტორინგის მისიის (EUMM) შექმნის თაობაზე, რომლის ამოცანაა ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესრულების პროცესზე დაკვირვება. აღნიშნულმა მისიამ საქმიანობა 2008 წლის 1 ოქტომბერს დაიწყო.

2008 წლის 15 ოქტომბერს დაიწყო ე.წ. ჟენევის მოლაპარაკებები ევროკავშირის, ეუთო-ს, გაერო-ს, აშშ-ს, საქართველოსა და რუსეთის წარმომადგენლების მონაწილეობით. მოლაპარაკებების ძირითად საკითხებს წარმოადგენს სტაბილურობა და უსაფრთხოება რეგიონში, დევნილთა დაბრუნება საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების საფუძველზე.

2008 წლის 3 დეკემბერს გამოქვეყნდა ევროკომისიის კომუნიკე „აღმოსავლეთ პარტნიორობის" შესახებ. „აღმოსავლეთ პარტნიორობა" (Eastern Partnership)

ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობელ ქვეყნებთან (უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი) თანამშრომლობის თვისობრივად ახალი ფორმაა.

2009 წლის 7 მაისს, ქ. პრაღაში, გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამიტი.

2009 წლის 30 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა "პარტნიორობა მობილურობისათვის" ერთობლივ დეკლარაციას.

2010 წლის 16 თებერვალს, ოფიციალურად დაიწყო „პარტნიორობა მობილურობისათვის" ფარგლებში საქართველო-ევროკავშირს შორის თანამშრომლობა.

2010 წლის 10 მაისს, ბრიუსელში, ზოგად საკითხთა საბჭომ (General Affairs Council) დაამტკიცა ევროკომისიის მიერ წარდგენილი მანდატი საქართველოსთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყებასთან დაკავშირებით.

2010 წლის 17 ივნისს, ხელი მოეწერა „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ" შეთანხმებას.

2010 წლის 15 ივლისს, დაიწყო „ასოცირების შესახებ" შეთანხმებაზე მოლაპარაკებები, რომლის ნაწილიცაა „ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეზე შეთანხმება" (DCFTA).

2010 წლის 2 დეკემბერს, ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა „საქართველოს და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი სავაჭრო სივრცის შესახებ" შეთანხმებას.

2011 წლის 1 მარტს, ძალაში შევიდა „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ" და „ევროკავშირსა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ" შეთანხმებები.

2011 წლის 29-30 სექტემბერს, ქ. ვარშავაში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის" მეორე სამიტი.

2012 წლის 28 თებერვალს, ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეზე (DCFTA)

2012 წლის 4 ივნისს, გაიხსნა საქართველო-ევროკავშირის დიალოგი უვიზო მიმოსვლის შესახებ.

2013 წლის 22 ივლისს, დასრულდა მოლაპარაკებები საქართველო-ევროკავშირის შორის „ასოცირების შესახებ“ შეთანხმების ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტზე.

2013 წლის 28-29 ნოემბერს, ქ. ვილნიუსში „აღმოსავლეთ პარტნიორობის" რიგით მესამე სამიტი გაიმართა.

2013 წლის 29 ნოემბერს, „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ვილნიუსის სამიტზე, ასოცირებისა და მისი კომპონენტის, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების პარაფირება მოხდა.

2013 წლის 29 ნოემბერს, „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ვილნიუსის სამიტზე საქართველოს და ევროკავშირს შორის გაფორმდა შეთანხმება საქართველოს ევროკავშირის კრიზისის მართვის ოპერაციებში ჩართვის შესახებ. შეთანხმება საქართველოს აძლევს საშუალებას წვლილი შეიტანოს მსოფლიო უსაფრთხოებაში.

2014 წლის 26 ივნისს, ევროკავშირმა და საქართველომ დაამტკიცეს ასოცირების დღის წესრიგი, რომელიც განსაზღვრავს ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების პრიორიტეტულ საკითხებს 2014-2016 წლებისთვის და ემსახურება ასოცირების შეთანხმების, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტის (DCFTA) ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობას. აღნიშნულმა დღის წესრიგმა ჩაანაცვლა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (ENP AP).

2014 წლის 27 ივნისს, ხელი მოეწერა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებას.

2014 წლის 18 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა ერთხმად დაუჭირა მხარი ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) კომპონენტის ჩათვლით.

2014 წლის 29 ივლისს, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის 39-ე სხდომაზე დამტკიცდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა და ასევე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების, ღრმა

და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტის განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმა.

2014 წლის 1 სექტემბერს, დაიწყო ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების დროებითი ამოქმედება, რაც გულისხმობს ასოცირების შესახებ შეთანხმების დაახლოებით 80%-ის ძალაში შესვლას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) კომპონენტის ჩათვლით. აღნიშნული პროცესი გაგრძელდება ევროპარლამენტისა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნული საკანონმდებლო ორგანოების მიერ ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიკაციის დასრულებამდე

2015 წლის 21-22 მაისს, ქ. რიგაში „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რიგით მესამე სამიტი გაიმართა, სადაც მიღებულ დეკლარაციაში აღიარებულ იქნა საქართველოს მხარდაჭერა გახდეს ევროპული ოჯახის წევრი.

საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის სათავეებთან

როდის ჩამოყალიბდა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამა?

ევროკომისიამ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შესახებ კომუნიკაცია 2008 წლის 3 დეკემბერს გამოაქვეყნა, რომელიც 2009 წლის 19 მარტს ევროპული საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა. შესაბამისად, ჩამოყალიბებაზე როდესაც ვსაუბრობთ, ასეთ თარიღად 2009 წლის 19 მარტი უნდა ვიგულისხმოთ.

რომელი ქვეყნები შედის ამ პროგრამაში?

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ (Eastern Partnership - EaP) არის პროგრამა, რომელიც ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის ახალი ფორმატს წარმოადგენს და იგი თავდაპირველად შვედეთისა და პოლონეთის მიერ იყო შემუშავებული. პროგრამის მიხედვით, განისაზღვრა შემდეგი სამიზნე სახელმწიფოები: აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა, რომლებთანაც ევროკავშირი სამომავლო ურთიერთობის პერსპექტივას ისახავს.

რას გულისხმობს პროგრამა?

„აღმოსავლეთ პარტნიორობა“ გულისხმობს ევროპის, ევროკავშირის არა წევრი ქვეყნების ევროკავშირთან ორმხრივი და მრავალმხრივი გზით ხელი შეუწყოს პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავებას, საერთო ფასეულობების გავრცელებას, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებასა და ეკონომიკურ განვითარებას.

რა ფორმატში მიმდინარეობს თანამშრომლობა? (სამიტების განრიგი)

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტი ორ წელიწადში ერთხელ იმართება, რომლის ძირითად მიზანს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება წარმოადგენს. პირველი სამიტი 2009 წლის 7 მაისს, ევროკავშირის იმჟამინდელ თავმჯდომარე ქვეყანაში, ქ. პრაღაში (ჩეხეთი) (27+6), ხოლო მეორე 2011 წლის 29-30 სექტემბერს ქ. ვარშავაში (პოლონეთი) გაიმართა. მესამე სამიტი 2013 წლის 29 ნოემბერს ქ. ვილნიუსში (ლიტვა) ჩატარდა. რიგით მეოთხე და ბოლო სამიტი ჩატარდა 2015 წლის 21-22 მაისს, ქ. რიგაში (ლატვიაში).

მიზანი და თანამშრომლობის პერსპექტივები

ევროკომისიის მიერ შემუშავებული „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შესახებ კომუნიკაციის თანახმად, ინიციატივის მთავრი მიზანია ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) განხორციელების ხელშეწყობა, თუმცა მოცემული ინიციატივა უფრო შორს მიდის და პარტნიორ ქვეყნებს ევროკავშირთან უფრო მეტად დაახლოების მიზნით კონკრეტულ პერსპექტივებს სთავაზობს.

„აღმოსავლეთ პარტნიორობა“ ქვეყნებს სთავაზობს შესაძლებლობათა მაქსიმუმს პარტნიორ ქვეყნებში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის, ასევე რეფორმების ინტენსიურობის გათვალისწინებით.

ორმხრივი თანამშრომლობა

ორმხრივი თანამშრომლობის საბოლოო მიზანია ფართო პოლიტიკური და სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა და პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირთან თანამშრომლობის კიდევ უფრო გააღრმავება. ორმხრივი თანამშრომლობა, ევროკავშირსა და თითოეულ პარტნიორ ქვეყანას შორის, თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას ითვალისწინებს, რაც მოიცავს:

- ახალი, უფრო ფართო საკონტრაქტო ურთიერთობების ჩამოყალიბებას პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებასთან (PCA) შედარებით გაღრმავებული შეთანხმებების - ასოცირების შესახებ შეთანხმებების (Association Agreement) გაფორმების გზით, რომლებიც უპასუხებს თითოეული პარტნიორი ქვეყნის ევროკავშირთან შემდგომი დაახლოებისკენ სწრაფვას. ეს შეთანხმებები გაფორმდება იმ ქვეყნებთან, რომლებიც მზად იქნებიან საკუთარ თავზე აიღონ შესაბამისი დონის ვალდებულებები;
- ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის თავისუფალი სავაჭრო ზონების შექმნას, რომლებიც დაეფუძნება თითოეულ ქვეყანასთან გაფორმებულ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმებებს (Deep and Comprehensive Free Trade Areas), როგორც ასოცირების შესახებ შეთანხმების განუყოფელი ნაწილს;
- უსაფრთხო გარემოში მოქალაქეთა მობილურობის ხელშეწყობას. ამ მიზნით, ევროკავშირი პარტნიორ ქვეყნებს სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და

რეადმისიის შესახებ ხელშეკრულებების (Visa Facilitation Readmission Agreements) გაფორმების შესაძლებლობებს სთავაზობს. თანმიმდევრული ნაბიჯები იქნება გადადგმული უვიზო მიმოსვლის რეჟიმის დამყარებისაკენ;

- ენერგო-უსაფრთხოების გაძლიერებას, რაც ითვალისწინებს ენერგო რესურსების მიწოდებასა და ტრანზიტს, ისევე როგორც, ენერგო რესურსების ეფექტიანობის ამაღლებასა და ენერგიის განახლებადი წყაროების ფართო გამოყენებას.

მრავალმხრივი თანამშრომლობა

მრავალმხრივი თანამშრომლობის მიზანი კი ახალ ფორმატს უზრუნველყოფს, რომელიც საერთო ინტერესთა სფეროში თანამშრომლობისა და გამოწვევებთან გამკლავების შესაძლებლობას იძლევა. ასეთი ფორმატი, უსაფრთხოების, მიგრაციის, ვაჭრობის, ისევე როგორც ტრანსპორტის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვისა და სხვა სფეროებში, ერთობლივი პროექტების განხორციელების გზით, რეგიონში თანამშრომლობის პროცესების განვითარებას ისახავს მიზნად.

მრავალმხრივი თანამშრომლობა მოიცავს **ოთხ თემატურ პლატფორმას**, ფლაგმან ინიციატივებსა და პანელებს. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მრავალმხრივ ფორმატს საერთო კოორდინაციას უწევს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. პლატფორმებზე პასუხისმგებლები არიან შემდეგი დარგობრივი სამინისტროები:

I პლატფორმა - **დემოკრატია, კარგი მმართველობა და სტაბილურობა** (Democracy, Good Governance and Stability) – ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

II პლატფორმა – **ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა** (Economic Integration and Governance with EU Policies)– საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

III პლატფორმა - **ენერგოუსაფრთხოება** (Energy Security) – საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო;

IV პლატფორმა – **ხალხთა შორის კონტაქტები** (Contacts Between People) – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში საქართველოში ჩატარებული ღონისძიებები

საქართველო აქტიურად უჭერს მხარს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პოპულარიზაციას და პარტნიორ ქვეყნებში სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებას. საქართველო გახდა მიმზიდველი ქვეყანა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში ღონისძიებების მასპინძლობის თვალსაზრისით. საქართველოში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

2011 წელი:

- 14 აპრილი - IV პლატფორმის ფარგლებში - „აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურულ რეგიონულ სემინარი“;
- 20 მაისი - I პლატფორმის ფარგლებში - „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პანელის“ მესამე შეხვედრა;
- 27-28 ივლისი - I პლატფორმის ფარგლებში სემინარი - „საბაჟო პრიორიტეტების განხორციელება აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში“ ;
- 4-6 ოქტომბერი - I პლატფორმის ფარგლებში „საზღვრის ინტეგრირებული მართვის პანელის“ მეხუთე შეხვედრა.

2012 წელი:

- 29 მარტი - I პლატფორმის ფარგლებში სემინარი - „საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციისა და საჯარო სექტორის ღია მონაცემების გამჭვირვალობა“;
- 23 აპრილი - I პლატფორმის ფარგლებში სემინარი - „მონაცემების გაცვლის ინფრასტრუქტურა საქართველოში“;
- 3-4 მაისი - I პლატფორმის ფარგლებში „მიგრაციისა და თავშესაფრის პანელის“ მეორე შეხვედრა;
- 14 ივნისი - I პლატფორმის ფარგლებში „საჯარო ადმინისტრირების რეფორმის პანელის“ მეორე შეხვედრა;
- 22 ივნისი - I პლატფორმის ფარგლებში „სასამართლო სისტემის გაუმჯობესებული ფუნქციონირების პანელის“ პირველ შეხვედრა;
- 1 სექტემბერი - კონცერტი „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ორკესტრის შესრულებით;
- 8-9 ოქტომბერი - „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ კულტურული პროგრამის ფარგლებში პირველი რეგიონულ კონფერენცია;
- 30-31 ოქტომბერი - II პლატფორმის ფარგლებში „მცირე და საშუალო საწარმოების მიმართ პოლიტიკის საკითხებზე პანელის“ მესამე შეხვედრა.

2013 წელი:

- 31 იანვარს-1 თებერვალი - I პლატფორმის ფარგლებში ტრენინგი - „ინფორმაციის დაცვა და უსაფრთხოება“;
- 12-13 თებერვალი - „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების საგარეო საქმეთა და ტრანსპორტის მინისტრების არაფორმალური დიალოგი;
- 20-21 მარტი - I პლატფორმის „მიგრაციისა და თავშესაფრის პანელის“ მეოთხე შეხვედრა რეადმისიის, დაბრუნებისა და რეინტეგრაციის საკითხებზე;

- 17 ივნისი - III პლატფორმის ფარგლებში, ენერგომარეგულირებლებთან თანამშრომლობით, მეორე სემინარი რეგულირების შესაბამისობის შესახებ;
- 27-28 ივნისი - მინისტერიალი კულტურის სფეროში;
- 20-22 აგვისტო - „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რეგიონალური ახალგაზრდული სამსახურის (Eastern Partnership Youth Regional Unit (EPYRU) ტრენინგი ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებასა და ახალგაზრდების ჩართულობაზე;
- 12-13 სექტემბერი - II პლატფორმის ფარგლებში ბიზნესის განვითარების საკითხებზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის (II ლაბორატორია) - „თვითდასაქმება და მეწარმეობა“ შეხვედრა;
- 26-28 სექტემბერი - „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ კულტურული პროგრამის პროექტის “Strengthening Creative Industries in Armenia, Azerbaijan and Georgia: Heritage Crafts – Common Platform for Development” ფარგლებში საერთაშორისო კონფერენცია - „Notion of Culture as a Force for Economic Growth, New Approach for South Caucasus”.

2014 წელი:

- 1-2 აპრილი – „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოების პლენარული სესია;
- 29 სექტემბერი – „აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა წარმომადგენლების კონფერენციის“ (CORLEAP) მე-4 სხდომა;
- 16 ოქტომბერი – „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ საჯარო ადმინისტრირების პანელის მე-7 შეხვედრა;
- 21-22 ოქტომბერი – „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ II პლატფორმის ფარგლებში ვაჭრობის პანელის შეხვედრა;
- 23-24 ოქტომბერი – „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ SME-ი პანელის შეხვედრა.

„ევრონესტი“ (EURONEST) -თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეა

„ევრონესტი“ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში ფუნქციონირებს და იგი წარმოადგენს თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლევას, რომელიც 2011 წლის 2-3 მაისს ბრიუსელში, ევროპარლამენტის წევრებისა და პარტნიორი ქვეყნების პარლამენტების თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით შეიქმნა. ცნობისთვის: 2013 წლის 13-15 თებერვალს ქ. თბილისში გაიმართა ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკურ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვის და დემოკრატიის კომიტეტის სხდომა.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

როდის დაფუძნდა ფორუმი?

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი 2009 წლის 17 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში დაფუძნდა იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის აქტიური თანამშრომლობისა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციონალიზაციისათვის.

რამდენი ჯგუფი ფუნქციონირებს ფორუმში?

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ფარგლებში, ამჟამად ხუთი სამუშაო ჯგუფი ფუნქციონირებს, მათგან 4 შინაარსობრივად „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მრავალმხრივი თანამშრომლობის თემატური პლატფორმების (I პლატფორმა - **დემოკრატია, კარგი მმართველობა და სტაბილურობა** (Democracy, Good Governance and Stability) – ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; II პლატფორმა – **ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა** (Economic Integration and Governance with EU Policies)– საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; III პლატფორმა - **ენერგოუსაფრთხოება** (Energy Security) – საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო; IV პლატფორმა – **ხალხთა შორის კონტაქტები** (Contacts Between People) – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.) ანალოგიურია, ხოლო მე-5 თემატური ჯგუფის „სოციალური პარტნიორობა და სოლიდარობა“ დაარსების შესახებ გადაწყვეტილება 2011 წლის 28-30 ნოემბერს ქ. პოზნანში, პოლონეთში გამართულ CSF-ის (Civil Society Forum) მესამე შეხვედრაზე იქნა მიღებული.

ფორუმის სხდომები

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის სხდომები იმართება ყოველწლიურად. ფორუმის სხდომებზე ხდება ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნებისთვის რეკომენდაციების შემუშავება. შეხვედრებზე, ასევე, ხდება პარტნიორი ქვეყნების კოორდინატორების, სამუშაო ჯგუფების ორ-ორი კოორდინატორის და ევროკავშირის სამი კოორდინატორის განახლებული შემადგენლობის არჩევა.

დაარსებიდან დღემდე, სულ ჩატარდა 5 სამუშაო შეხვედრა, მათ შორის ბოლო საქართველოში:

- 1-ლი შეხვედრა - 2010 წლის 18-19 ნოემბერი, ქ. ბერლინი, გერმანია;
- მე-2 შეხვედრა - 2011 წლის 28-30 ნოემბერს, ქ. პოზნანი, პოლონეთი;
- მე-3 შეხვედრა - 2012 წლის 29-30 ნოემბერი, ქ. სტოკჰოლმი, შვედეთი;
- მე-4 შეხვედრა - 2013 წლის 4-5 ოქტომბერი, ქ. კიშინეუ, მოლდოვა;
- მე-5 შეხვედრა 2014 წლის 20-21 ნოემბერი, ქ. ბათუმი, საქართველო.

ეროვნული პლატფორმები

CSF-ის (Civil Society Forum) მუშაობის წარმართვის მიზნით, თითოეულ პარტნიორ ქვეყანაში შექმნილია ეროვნული პლატფორმები. ამ დროისთვის, საქართველოს ეროვნულ პლატფორმაში 126 ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა გაერთიანებული. ეროვნულ პლატფორმაში ოთხი თემატური ჯგუფი ფუნქციონირებს. ეროვნული პლატფორმის საქმიანობას საკოორდინაციო საბჭო წარმართავს, რომლის შემადგენლობაში, თითოეული სამუშაო ჯგუფის 2 თანაკოორდინატორი შედის.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება

რა ეწოდება ოფიციალურად „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“?

„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“ ოფიციალურად ეწოდება „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, ევროპის კავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის.“

ვინაიდან „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ მოიცავს არა მხოლოდ იმ სფეროებს, რომლებშიც ევროკავშირს ექსკლუზიური კომპეტენცია აქვს, არამედ სფეროებს, რომლებშიც ევროკავშირი ინაწილებს კომპეტენციას წევრ ქვეყნებთან, შესაბამისად, შეთანხმების მხარეებად ევროკავშირთან ერთად, გამოდიან მისი წევრი ქვეყნებიც.

რა არის „ასოცირების შესახებ შეთანხმება“?

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ფორმდება ევროკავშირსა და ევროკავშირის არაწევრ ქვეყანას შორის და მიზნად ისახავს მხარეთა შორის თანამშრომლობის ჩარჩოს შექმნას. „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ სამართლებრივად სავალდებულოა.

„საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ამბიციური და ინოვაციური, ე.წ. „ახალი თაობის“ შეთანხმებაა, რამდენადაც, მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area - DC FTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოვების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს.

საქართველოსთვის ევროკავშირთან „ასოცირების შესახებ შეთანხმების“, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩათვლით, გაფორმების პერსპექტივა გაიხსნა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივით.

„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ჩაანაცვლებს 1996 წელს ხელმოწერილ „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას“ (Partnership and Cooperation Agreement - PCA) და შექმნის

საქართველოსა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობის ახალ სამართლებრივ ჩარჩოს. PCA-სთან შედარებით, „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ითვალისწინებს თანამშრომლობის უფრო გაღრმავებას საქართველოსა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობის ყველა პრიორიტეტული მიმართულებით.

როგორ მიმდინარეობდა მოლაპარაკებები „ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე“?

საქართველოსა და ევროკავშირის შორის მოლაპარაკებები „ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე“ ოფიციალურად დაიწყო 2010 წლის ივლისში (ხოლო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტზე - 2011 წლის დეკემბერში). მოლაპარაკებების პროცესში გაიმართა 15 პლენარული სესია შეთანხმების პოლიტიკურ ნაწილზე, 6 რაუნდი - ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ ვაჭრობის სივრცეზე და 100-მდე ვიდეო-კონფერენცია დარგობრივი თანამშრომლობის საკითხებსა და DC FTA-ზე. მოლაპარაკებები დასრულდა 2013 წლის ივლისში. მოლაპარაკებების პროცესში ჩართული იყო საქართველოს ყველა შესაბამისი სამინისტრო და უწყება.

შეთანხმების პარაფირება (მოლაპარაკებული ტექსტის დადასტურება მხარეთა დელეგაციების ხელმძღვანელების მიერ, შეთანხმების თითოეულ გვერდზე ინიციალების დასმით) მოხდა 2013 წლის 28-29 ნოემბერს, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტის ფარგლებში.

რა სტრუქტურა აქვს შეთანხმებას?

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“ პირობითად შეგვიძლია სამ ნაწილად დავყოთ: პოლიტიკური თანამშრომლობა (პრეამბულა; კარი I-III; VIII) დარგობრივი თანამშრომლობა (კარი V-VII) და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე (DC FTA) (კარი IV).

შეთანხმება 1000-მდე გვერდს მოიცავს და ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოვებას ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან.

შეთანხმებას აქვს შემდეგი სტრუქტურა:

პრეამბულა

კარი I: ზოგადი პრინციპები

კარი II: პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა; თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში

კარი III: მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება

კარი IV: ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები

თავი 1: ეროვნული რეჟიმი და საქონლის ბაზარზე დაშვება

თავი 2: სავაჭრო ზომები

თავი 3: ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება

თავი 4: სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები
თავი 5: საბაჟო და ვაჭრობის ხელშეწყობა
თავი 6: დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია
თავი 7: მიმდინარე გადახდები და კაპიტალის მოძრაობა
თავი 8: საჯარო შესყიდვები
თავი 9: ინტელექტუალური საკუთრება
თავი 10: კონკურენცია
თავი 11: ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სფეროში
თავი 12: გამჭვირვალობა
თავი 13: ვაჭრობა და მდგრადი განვითარება
თავი 14: დავების მოგვარება
თავი 15: დაახლოვების ზოგადი დებულებები IV კარის შესაბამისად

კარი V: ეკონომიკური თანამშრომლობა

თავი 1: ეკონომიკური დიალოგი
თავი 2: საჯარო ფინანსების მართვა და ფინანსური კონტროლი
თავი 3: დაბეგვრა
თავი 4: სტატისტიკა

კარი VI: თანამშრომლობის სხვა სფეროები

თავი 1: ტრანსპორტი
თავი 2 : თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში
თავი 3: გარემოს დაცვა
თავი 4: კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები
თავი 5: სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკა და სამთო-მოპოვებითი საქმიანობა
თავი 6: კორპორაციული სამართალი, აღრიცხვა და აუდიტი და კორპორაციული მმართველობა
თავი 7: ფინანსური მომსახურება
თავი 8: თანამშრომლობა საინფორმაციო საზოგადოების სფეროში
თავი 9: ტურიზმი
თავი 10: სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება
თავი 11: მეთევზეობა და საზღვაო მმართველობა
თავი 12: თანამშრომლობა კვლევის, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების სფეროში
თავი 13: მომხმარებელთა პოლიტიკა
თავი 14: დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები
თავი 15: საზოგადოებრივი ჯანმრთელობა
თავი 16: განათლება, ტრენინგი და ახალგაზრდობა
თავი 17: კულტურის სფეროში თანამშრომლობა
თავი 18: თანამშრომლობა აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროებში
თავი 19: თანამშრომლობა სპორტისა და ფიზიკური აქტივობის სფეროში
თავი 20: თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოების სფეროში

თავი 21: რეგიონალური განვითარება, თანამშრომლობა საზღვრისპირა და რეგიონალურ დონეზე

თავი 22: სამოქალაქო თავდაცვა

თავი 23: ევროკავშირის სააგენტოებსა და პროგრამებში მონაწილეობა

კარი VII: ფინანსური დახმარება და თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლისა და კონტროლის შესახებ დებულებები

კარი VIII: ინსტიტუციური, ზოგადი და დასკვნითი დებულებები

- 34 დანართი, რომელიც მოიცავს ევროკავშირის შესაბამისი სამართლებრივი აქტების ჩამონათვალს, რომელთაც უნდა დაუახლოვდეს საქართველო კონკრეტულ ვადებში;

- 4 ოქმი („საქონლის წარმოშობის” ცნების განსაზღვრის და ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდების შესახებ, საბაჟო საკითხებზე ადმინისტრაციული ურთერთდახმარების შესახებ, ევროკავშირის ფინანსური დახმარების კონტექსტში, თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლისა და კონტროლის დებულებებში გამოყენებული ტერმინების დეფინიციების შესახებ, ევროკავშირის პროგრამებში საქართველოს მონაწილეობის ძირითადი პრინციპების თაობაზე ევროკავშირსა და საქართველოს შორის ჩარჩო ხელშეკრულების შესახებ)

რას ითვალისწინებს შეთანხმება?

შეთანხმება აჩენს თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობებს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- საერთო ევროპული ფასეულობების განმტკიცება და დაცვა. დემოკრატიის და კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ერთგულება და გავრცელება; საერთაშორისო სამართლის პრინციპების, მათ შორის სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა; კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ხელშეწყობა.
- საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა. პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავება შესაბამის სფეროებში, მათ შორის შიდასახელმწიფოებრივი რეფორმა, საერთაშორისო მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა, რეგიონალური სტაბილურობა და სხვა.
- მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება, მათ შორის, საზღვრის მართვის საკითხებზე თანამშრომლობის გაღრმავება, ფულის გათეთრების, ტერორიზმის, ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის, ორგანიზებული დანაშაულისა და ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა; პერსონალურ მონაცემთა დაცვა და სხვა.
- დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს მოდერნიზება და ევროპული სტანდარტების დანერგვა, მაგ., ისეთ სფეროებში, როგორიც არის ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, კვლევა და

ტექნოლოგიები, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, სამოქალაქო საზოგადოება, რეგიონალური განვითარება და სხვა.

- ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (Deep and Comprehensive Free Trade Area – DC FTA) ჩამოყალიბებას. „ასოცირების შესახებ შეთანხმებაში“ ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელება ქმნის ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ მექანიზმს.

რა არის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე? (DCFTA)

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებისგან (free trade agreement) განსხვავებით, ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის სივრცე გულისხმობს როგორც სატარიფო, ასევე არასატარიფო ბარიერების აღმოფხვრას და არეგულირებს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგ., სურსათის უვნებლობა, პროდუქციის უსაფრთხოება, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, საბაჟო საკითხები, სახელმწიფო შესყიდვები და სხვა). ვაჭრობის შესახებ სხვა შეთანხმებებისგან განსხვავებით, DC FTA გულისხმობს ვაჭრობის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინსტიტუტების ეტაპობრივ დაახლოვებას ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და ადმინისტრირების მექანიზმებთან.

რა სარგებელს ითვალისწინებს DCFTA?

საქართველო-ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს:

- ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი სავაჭრო სისტემის ფორმირებას;
- გამჭვირვალე, სტაბილური ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას;
- საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობისა და შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების ზრდას;
- ქვეყნის მდგრად განვითარებასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას;
- ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის შექმნას;
- ადგილობრივი წარმოების მასშტაბების ზრდის კვალობაზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას;
- ქართული პროდუქციის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებასა და გაფართოებას;
- ქართველი ექსპორტიორებისთვის ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას;
- ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას;

- ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას;
- სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად;
- ზოგადად, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას: მოკლევადიან პერსპექტივაში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდას 1,7%-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში - 4,3%-ით. მოკლევადიან პერსპექტივაში ექსპორტის 9%-ით, ხოლო იმპორტის 4,4%-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში ექსპორტის 12%-ით, ხოლო იმპორტის 7,5%-ით ზრდას.

რა სარგებელს მიიღებენ საქართველოს მოქალაქეები „ასოცირების შესახებ შეთანხმებისგან“?

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ იმპლემენტაციის შედეგად, საქართველოს მოქალაქეები კონკრეტულ სარგებელს მიიღებენ. მათ შორის, აღსანიშნავია, ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის უკეთესი შესაძლებლობების გახსნა, ევროპული განათლების ხელმისაწვდომობა, გაუმჯობესებული ჯანდაცვა, ენერგო ეფექტიანობის გაზრდა და განახლებადი ენერგო რესურსების განვითარება, უკეთესად ფუნქციონირებადი სასამართლო, გამყარებული კანონის უზენაესობა, საჯარო სამსახურის გაზრდილი ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა და სხვა.

ითვალისწინებს თუ არა „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ევროკავშირში გაწევრიანებას/

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“ არ ითვალისწინებს ევროკავშირში გაწევრიანებას, თუმცა, შეთანხმება ევროკავშირთან და მის კანონმდებლობასთან (acquis) დაახლოვების იმდენად მაღალ დონეს მოიცავს, რომ მისი ეფექტიანი განხორციელება, ფაქტობრივად, შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ მიზნად ისახავს ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. შეთანხმება საქართველო-ევროკავშირის მომავალი ურთიერთობისთვის გრძელვადიან საფუძველს ქმნის, თუმცა, არ გამორიცხავს ურთიერთობის სამომავლო განვითარებას ევროკავშირის ხელშეკრულების (Treaty on European Union)⁴ შესაბამისად.

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ პრეამბულაში ნათქვამია, რომ მხარეთა საერთო სურვილია, შემდგომში განავითარონ, გააძლიერონ და გააღრმავონ ურთიერთობები ამბიციური და ინოვაციური გზით; „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ არ შეზღუდავს და ღიას დატოვებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების სამომავლო პროგრესული განვითარების გზას.

შეთანხმებაში აღიარებულია საქართველოს ევროპული მისწრაფებები და ევროპული არჩევანი და აღნიშნულია, რომ ის საერთო ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირი – დემოკრატია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და კანონის უზენაესობა – ასევე წარმოადგენს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ქვაკუთხედს. ამასთან, ნათქვამია, რომ საქართველო, როგორც აღმოსავლეთ ევროპული ქვეყანა, ვალდებულია იხელმძღვანელოს ამ ღირებულებებით და ხელი შეუწყოს მათ დამკვიდრებას

შეთანხმებაში, ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს გააჩნიათ ისტორიული კავშირები და საერთო ღირებულებები.

რა არის ნათქვამი შეთანხმებაში კონფლიქტის მოგვარებაზე?

შეთანხმებაში გამოხატულია სრული პატივისცემა საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის პრინციპების მიმართ და ასევე, აღნიშნულია ევროკავშირის ვალდებულება მხარი დაუჭიროს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას.

ამასთან, მითითებულია მხარეთა ვალდებულება, ევროკავშირთან საქართველოს მჭიდრო პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგად მიღებული სარგებელი გაავრცელონ საქართველოს ყველა მოქალაქეზე, კონფლიქტის შედეგად დაშორიშორებული საზოგადოების ჩათვლით.

აღსანიშნავია, რომ „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ თავდაპირველი პროექტი არ ითვალისწინებდა ცალკე მუხლს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების თაობაზე და ეს მუხლი გაჩნდა საქართველოს ძალისხმევის შედეგად. შესაბამისად, შეთანხმებაში ჯეროვანი ყურადღება დაეთმო საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს საკითხს.

შეთანხმებაში მხარეები კიდევ ერთხელ აღნიშნავენ თავიანთ ვალდებულებას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების კუთხით, საქართველოს სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში მისი ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემით. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციისა და შერიგებისადმი მიმართული ძალისხმევის ერთობლივ ხელშეწყობას. კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება იქნება, როგორც მხარეთა შორის, ასევე,

სხვა შესაბამის საერთაშორისო აქტორებთან, პოლიტიკური დიალოგის ერთ-ერთი მთავარი თემა.

მხარეები აღიარებენ 2008 წლის 12 აგვისტოს 6-პუნქტიანი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებისა და მისი შემდგომი საიმპლემენტაციო ზომების სრულად შესრულების, ერთობლივი ძალისხმევით განხორციელებული არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკის, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად, ყველა იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ საცხოვრებელ ადგილებზე უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების და ადგილზე ქმედითი საერთაშორისო ჩართულობის, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ევროკავშირის ჩართულობის მნიშვნელობას.

მხარეები ხელს შეუწყობენ ეტაპობრივ დაახლოვებას საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში, ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ჩათვლით. მხარეები აცხადებენ, რომ უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების თავიანთ ტერიტორიაზე განლაგება უნდა მოხდეს მხოლოდ მასპინძელი სახელმწიფოს მკაფიო თანხმობის საფუძველზე, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

მხარეები გააძლიერებენ პრაქტიკულ თანამშრომლობას კონფლიქტის პრევენციისა და კრიზისის მართვის კუთხით, განსაკუთრებით ევროკავშირის სამოქალაქო და სამხედრო კრიზისის მართვის ოპერაციებში, ასევე შესაბამის სწავლებებსა და წვრთნებში საქართველოს შესაძლო მონაწილეობის გათვალისწინებით.

რას ითვალისწინებს შეთანხმება ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით?

შეთანხმების შესაბამის ნაწილში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოქალაქეთა მობილურობის ხელშეწყობას, მათ შორის, შესაბამის ეტაპზე უვიზო რეჟიმის შემოღებას, კარგად მართულ და უსაფრთხო გარემოში, თუმცა, აღსანიშნავია, რომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია ევროკავშირთან თანამშრომლობის ფარგლებში დამოუკიდებელი პროცესია, რომელიც საქართველო-ევროკავშირის სავიზო დიალოგის ფორმატში მიმდინარეობს.

ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის მიღწევის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ ეფექტიანი შესრულება წარმოადგენს. საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელების, ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის გაუქმების გავლენის შეფასებისა და შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, შემოღებული

იქნება საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის წევრ, შენგენის სივრცის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის რეჟიმი.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლის პერსპექტივა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, ხალხთა შორის კონტაქტების გააქტიურების ძირითადი ინსტრუმენტი და ევროკავშირთან შემდგომი დაახლოვების ეფექტური საშუალებაა.

რას ითვალისწინებს შეთანხმება დემოკრატიული რეფორმების კუთხით?

შეთანხმება ითვალისწინებს საქართველო-ევროკავშირის მჭიდრო თანამშრომლობას მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე რეფორმის კუთხით. ამ მიმართულებით, განსაზღვრულია კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის უზრუნველყოფა, როგორც მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე თანამშრომლობის საფუძველი.

შეთანხმება ადგენს იმ კონკრეტულ სფეროებს, რომლებშიც საქართველომ ევროკავშირის ხელშეწყობით უნდა გაატაროს პროგრესული რეფორმები, ესენია: სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გაზრდა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა, მიგრაციის მართვა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა; ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, უკანონო ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვის პრევენცია და მის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია.

შეთანხმებით, ასევე გათვალისწინებულია თანამშრომლობა ორმხრივი სამართლებრივი დახმარების კუთხით. ეს, საჭიროების შემთხვევაში, მოიცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპის საბჭოს შესაბამის საერთაშორისო აქტებთან მიერთებასა და მათ იმპლემენტაციას, ასევე ევროკავშირის სამართლებრივი თანამშრომლობის სააგენტოსთან (EUROJUST) მჭიდრო თანამშრომლობას.

რა არის ნათქვამი ასოცირების შესახებ შეთანხმებაში უმცირესობათა უფლებებზე?

„ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ მხარეები ვალდებულიებას იღებენ შემდგომში გააძლიერონ მხარეთა საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული ძირითადი თავისუფლებების, ადამიანის უფლებების, მათ შორის იმ პირების უფლებების, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობებს, დემოკრატიული პრინციპების, კანონის უზენაესობისა და კარგი მმართველობის პატივისცემა.

ადამიანის უფლებების, მათ შორის იმ პირთა უფლებების, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობებს, პატივისცემა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის პრინციპს და ევროკავშირის ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას.

რა გავლენას მოახდენს შეთანხმება დარგობრივი პოლიტიკის სფეროებზე?

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“ საქართველოს ევროკავშირთან დაახლოვების სამოქმედო გეგმაა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. დარგობრივი პოლიტიკის სფეროებში თანამშრომლობა მიზნად ისახავს საქართველოს ეტაპობრივ დაახლოვებას ევროკავშირის სტანდარტებთან. ზოგიერთ თავს აქვს დანართი, სადაც დეტალურად არის გაწერილი კონკრეტულ სფეროში საკანონმდებლო ცვლილებებისა და ინსტიტუციური რეფორმების გატარების ვადები.

შეთანხმება ითვალისწინებს თითოეულ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, გამოცდილების გაზიარებასა და ევროკავშირის მხრიდან შესაბამისი რეფორმების მხარდაჭერას.

რას შეუწყობს ხელს „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გაფორმება ხელს შეუწყობს:

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გაფორმება ხელს შეუწყობს:

- ეკონომიკური რეფორმების პროცესს და ქმედითი, ფუნქციონირებადი და ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის განვითარებას. მხარეები ვალდებულია იღებენ ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება, ექსპერტული მოსაზრებები და დანერგონ საუკეთესო პრაქტიკა ისეთ სფეროებში, როგორიცაა საჯარო ფინანსები, ფინანსური, მონეტარული და სავალუტო სექტორის პოლიტიკა და ეკონომიკური სტატისტიკა.
- სახელმწიფო სექტორის შიდა ფინანსური კონტროლისა და გარე აუდიტის განვითარებას. კერძოდ, ერთობლივი პროგრამების შექმნის, ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლის, ასევე, პერსონალის გაცვლისა და ტრეინინგის გზით მოხდება ფუნქციონალურად დამოუკიდებელი შიდა აუდიტის მექანიზმის შემუშავება და განვითარება.
- საგადასახადო სფეროში ეფექტიანი მმართველობის გაძლიერებას, ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების, ვაჭრობის განვითარებისა და დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის მიზნით.
- ეროვნული სტატისტიკის სისტემის შესაძლებლობების განვითარებას დროული, საერთაშორისო დონეზე შედარებადი და საიმედო სტატისტიკური მონაცემების უზრუნველყოფის გზით.
- ევროკავშირთან სატრანსპორტო სფეროში თანამშრომლობის განვითარებას, ევროკავშირის სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ქსელებში ჩართვას, საგზაო, სარკინიგზო, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტში ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების დანერგვას.

- საქართველოს ენერგო-უსაფრთხოების განმტკიცებას, მათ შორის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოვებას და თანამშრომლობის განვითარებას ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა ელექტრო-ენერგეტიკა, ბუნებრივი აირისა და ნავთობის მოძიება, მოპოვება და ტრანზიტი, განახლებადი ენერგია და ენერგოეფექტიანობა. ასევე, შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების შესაძლებლობას.
- გარემოს დაცვის სფეროში ევროპული სტანდარტების ეტაპობრივ დანერგვას, რაც მიზნად ისახავს უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებასა დარეგულირებას;
- მხარეები ვალდებული არიან იღებენ, შეიმუშაონ ბუნების დაცვის ერთობლივი პროგრამები, უზრუნველყონ ბიო-მრავალფეროვნების შენარჩუნება და დაიცვან გარემო საწარმოო დაბინძურებისაგან. საკანონმდებლო დაახლოვება განხორციელდება გარემოს დაცვის ისეთ სექტორებში, როგორიცაა: ჰაერისა და წყლის ხარისხი, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და გარემოს სტრატეგიული შეფასება.
- კლიმატური ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით თანამშრომლობის გაღრმავებას. ამ მხრივ, საქართველო და ევროკავშირი განავითარებენ ნახშირბადის დაბალი შემცველობის ტექნოლოგიებს და ხელს შეუწყობენ მათ გამოყენებასა და გავრცელებას.
- მრეწველობის სფეროში ევროპული სტანდარტებისა და ნორმების ეტაპობრივ დანერგვას, რაც გულისხმობს ბიზნესს გარემოს გაუმჯობესებას, ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. შესაბამისად, ევროკავშირის ბაზარზე სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის ზრდას და ამ ბაზარზე ქართული სამრეწველო პროდუქციის დამკვიდრებას;
- კორპორაციული სამართალის, საბუღალტრო აღრიცხვის, აუდიტის და კორპორაციული მმართველობის სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც მიზნად ისახავს საქართველოსა და ევროკავშირის შორის სავაჭრო ბრუნვისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ზრდას.
- ფინანსური მომსახურების, საბანკო და სადაზღვევო სფეროებში თანამშრომლობის განვითარებას, რაც გულისხმობს ღია საბაზრო ეკონომიკისათვის საჭირო ფინანსური მომსახურების რეგულაციის შემუშავებას, ინვესტიციების ეფექტიან და ადეკვატურ დაცვას და დამოუკიდებელი და ეფექტიანი ზედამხედველობის მექანიზმის შექმნას.
- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, ეროვნული მარეგულირებლის დამოუკიდებლობისა და ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერების უზრუნველსაყოფად. ამასთან, შეთანხმება ასევე ითვალისწინებს, ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში პროდუქტისა და მომსახურების ბაზრების განსაზღვრას, გადაწყვეტილებების გასაჩივრების ეფექტური მექანიზმის შექმნას და

- პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და კონფიდენციალურობის უფლების უზრუნველყოფას.
- ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას. დაგეგმილი ღონისძიებები მიზნად ისახავს ქვეყნის ტურისტული პოტენციალის ზრდასა და ტურისტული ნაკადის მატებას.
 - სოფლის მეურნეობის სფეროში ევროპული სტანდარტებისა და ნორმების ეტაპობრივ დანერგვას. ასევე, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ევროკავშირის რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად დაგეგმვას, შეფასებასა და იმპლემენტაციას. ამასთან, მოხდება წარმოების მოდერნიზაცია და სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.
 - მეთევზეობის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, არსებული რესურსების კონსერვაციის, სწორი მართვის, კონტროლის, მონაცემთა შეგროვების და უკანონო
 - თევზჭერის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. ასევე, მხარეები ხელს შეუწყობენ შავი ზღვის რეგიონალურ თანამშრომლობასა და თევზჭერის შესაბამის რეგიონალურ ორგანიზაციებთან ურთიერთობებს.
 - თანამშრომლობის განვითარებას სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიების სფეროში. მხარეები ვალდებულიებას იღებენ, განახორციელონ ინტელექტუალური საკუთრების უფლების სათანადო და ეფექტიანი დაცვა, შექმნან ერთობლივი კვლევითი პროგრამები, ჩაატარონ ტრენინგები და გაცვლითი პროგრამები მეცნიერების, მკვლევარებისა და სხვა სამეცნიერო-კვლევითი პერსონალისათვის.
 - მომხმარებელთა უფლებების დაცვას, რაც გულისხმობს: შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწასა და ევროკავშირის შესაბამისი სტანდარტების დანერგვას, საქართველოსა და ევროკავშირის მომხმარებელთა უფლებების დამცველ დამოუკიდებელ ასოციაციებს შორის კონტაქტების გაღრმავებას, ინფორმაციისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლას;
 - დასაქმების, სოციალური დაცვისა და თანაბარი შესაძლებლობების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას. საქართველო მოახდენს ეტაპობრივ საკანონმდებლო დაახლოვებას ქვეყანაში ღირსეული შრომის პირობების შესაქმნელად. ამ მიზნით, შემუშავდება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი დასაქმების პოლიტიკა, სამუშაო უსაფრთხოების ნორმები და ანტიდისკრიმინაციული და სოციალური დაცვის მექანიზმები. ასევე, უზრუნველყოფილი იქნება სოციალური ჩართულობა და გენდერული თანასწორობა.
 - ჯანდაცვის სისტემის მოდერნიზებას და ევროპული სტანდარტების ეტაპობრივ დანერგვას. კერძოდ, ჯანდაცვის სფეროში რეფორმების გაგრძელებას, ერთობლივი პროგრამების შექმნასა და მაღალი ხარისხის ჯანდაცვის უზრუნველყოფას. საკანონმდებლო დაახლოვება მოხდება ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ადამიანური რესურსების განვითარება,

მმართველობისა და დაფინანსების სრულყოფა, ეპიდემიოლოგიური დაკვირვება და გადამდებ დაავადებათა კონტროლი, საგანგებო სიტუაციების მიმართ მზაობა, ხელოვნურ ნივთიერებათა ხარისხი და უსაფრთხოება და არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია და კონტროლი.

- განათლების ხარისხის ამაღლებას და ამ მიზნით, საკანონმდებლო ჰარმონიზაციას, კვალიფიკაციებისა და კომპეტენციების ერთიანი ჩარჩოს შექმნას და საგანმანათლებლო კრედიტების (ქულების) ევროპული სისტემის შემოღებას.
- კულტურის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც გულისხმობს კულტურის პოლიტიკის შესახებ დიალოგის წარმოებას, კულტურული მრავალფეროვნების დაცვის ხელშეწყობას, ხელოვნებისა და ხელოვანთა მობილურობის მხარდაჭერას, ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების შესაბამისად კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და სათანადოდ დაცვას, ქვეყნის სიცოცხლისუნარიანი განვითარების უზრუნველსაყოფად.
- აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროებში ევროპული სტანდარტების ეტაპობრივ დანერგვას, მედიის დამოუკიდებლობის ზრდას, პროფესიონალთა ტრენინგებს, მხარეებს შორის ინფორმაციის რეგულარულ გაცვლასა და კინოსა და ტელევიზიის სფეროებში თანაწარმოებების წახალისებას.
- სპორტისა და ფიზიკური აქტივობის სფეროში ევროკავშირის გამოცდილების გაზიარებასა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას. ამ მიზნის განსახორციელებლად, მხარეები ხელს შეუწყობენ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, სპორტის სოციალური და საგანმანათლებლო ფასეულობების განვითარებასა და სპორტსმენთა მობილურობას. ასევე, მიიღებენ პრევენციულ ზომებს დოპინგის გამოყენების, სპორტში რასიზმისა და ძალადობის გავრცელების წინააღმდეგ.
- ევროკავშირისა და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავებას; მხარეები ვალდებულიებას იღებენ სახელმწიფო სტრუქტურებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ღია, გამჭვირვალე და რეგულარული დიალოგის გზით უზრუნველყონ მნიშვნელოვანი სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების სრულფასოვანი მონაწილეობა.
- ქმედითი და ეფექტიანი რეგიონალური განვითარების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას რეგიონალური განვითარების პროცესში ჩართულ ყველა მხარეს შორის პარტნიორობის კონსოლიდაციისა და თვითმმართველობების გაძლიერების გზით. ასევე, მხარეები შეიმუშავებენ რეგიონალური განვითარების ერთობლივ პროგრამებს.
- ბუნებრივი და ხელოვნური კატასტროფების მართვის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას. მხარეები ვალდებულიებას იღებენ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში უზრუნველყონ კოორდინირებული დახმარება. ასევე, მოახდინონ ინფორმაციის

რეგულარული გაცვლა, მათ შორის, საგანგებო სიტუაციების დროს მესამე ქვეყნისათვის გაწეული დახმარებების შესახებ

- საქართველოს მონაწილეობას ევროკავშირის პროგრამებსა და სააგენტოებში, რაც ევროკავშირთან დარგობრივი თანამშრომლობის გაღრმავების ახალ შესაძლებლობებს ქმნის. ევროკავშირის პროგრამებში მონაწილეობა ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობის ძალისხმევას რეფორმების განხორციელების პროცესში, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოვებასა და სხვადასხვა სექტორში საუკეთესო ევროპული გამოცდილების გაზიარებას

რა პერსპექტივებს ითვალისწინებს შეთანხმება განათლებისა და მეცნიერების სფეროში?

შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს დაახლოვებას ევროკავშირის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან განათლებისა და მეცნიერების სფეროში, განსაკუთრებული აქცენტით უმაღლეს განათლებაზე. უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება თანხვედრაში უნდა მოვიდეს ევროკავშირის „უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის დღის წესრიგსა“ (Modernisation Agenda for Higher Education) და ბოლონის პროცესთან. გაძლიერდება თანამშრომლობა აკადემიურ სფეროში, რაც გულისხმობს, როგორც ინსტიტუციური თანამშრომლობის გაზრდას ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, ასევე ევროპული გამოცდილების გაზიარებას კურიკულუმების შემუშავების, უნივერსიტეტების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ადმინისტრირების ახალი მეთოდების დანერგვისა და სხვა საკითხებში, ასევე სტუდენტებისა და უნივერსიტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლითი პროგრამების გაზრდასა და პარტნიორი ქვეყნების სტუდენტების მონაწილეობას ერთობლივ სამაგისტრო ხარისხის პროგრამების სრულ ციკლში. შესაბამისად, გაიზრდება ხარისხიანი ევროპული განათლების ხელმისაწვდომობა ქართველი სტუდენტებისთვის ევროპულ სასტიპენდიო და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის გზით, რაც ასევე ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრირებას ევროკავშირის საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში.

ამასთან, შეთანხმება ხელმისაწვდომს გახდის ქართველი მეცნიერებისთვის პარტნიორი ქვეყნების შესაბამის პროგრამებს, გაზრდის ქართველ მკვლევართა ჩართულობას ევროკავშირის ჩარჩო კვლევით პროგრამაში, ხელს შეუწყობს ერთობლივი პროექტების განხორციელებას, მკვლევარების გაცვლასა და სხვა

შეთანხმება ითვალისწინებს, აგრეთვე მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლა-სწავლების წახალისებასა და თანამშრომლობას პროფესიული განათლებისა და პროფესიული დარგების განვითარების მიზნით, რაც, ხელს შეუწყობს დასაქმებას

გაღრმავდება თუ არა საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგი?

შეთანხმება ითვალისწინებს საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის გაღრმავებას საერთო ინტერესთა ყველა სფეროში, საგარეო და უსაფრთხოების საკითხებისა და შიდა-სახელმწიფოებრივი რეფორმების ჩათვლით, რაც ხელს შეუწყობს ევროკავშირისა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაძლიერებას, ამბიციური და ინოვაციური გზების მეშვეობით

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ განხორციელების მონიტორინგის მიზნით შეიქმნება ასოცირების საბჭო (მინისტრების დონეზე). „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გამოყენებისა და შესრულების ზედამხედველობისა და მონიტორინგის გარდა, ასოცირების საბჭო განიხილავს შეთანხმების ფარგლებში წარმოშობილ ნებისმიერ მნიშვნელოვან და საერთო ინტერესთა სფეროში შემავალ, სხვა ორმხრივ თუ მრავალმხრივ საკითხს. ასოცირების საბჭოს გადაწყვეტილებები სავალდებულო იქნება მხარეებისთვის

ასოცირების კომიტეტი (მინისტრის მოადგილეების დონეზე) ასოცირების საბჭოს დაეხმარება თავისი მოვალეობებისა და ფუნქციების შესრულებაში. ასოცირების კომიტეტი ასევე შეიკრიბება სპეციალური ფორმით (ე.წ. ვაჭრობის კომიტეტი), რათა განიხილოს ყველა საკითხი, რაც უკავშირდება შეთანხმების ვაჭრობისა და ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებს (DC FTA)

ასოცირების კომიტეტს დაეხმარება სპეციალურად შექმნილი, თემატური ქვე-კომიტეტები. ქვე-კომიტეტები შეიკრიბება საჯარო მოხელეების დონეზე და განიხილავს კონკრეტულ სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ თაობაზე აზრთა გაცვლა-გამოცვლის მიზნით, ევროპარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის წევრთა მიერ შეიქმნება საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი. საპარლამენტო ასოცირების კომიტეტს შეეძლება ასოცირების საბჭოსგან მოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია შეთანხმების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით. საპარლამენტო ასოცირების კომიტეტს შეეძლება შექმნას საპარლამენტო ასოცირების ქვე-კომიტეტები

რა როლი ექნება „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ პროცესში სამოქალაქო საზოგადოებას

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ მიხედვით, შეთანხმების იმპლემენტაციის თაობაზე სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებისა და პროცესებში მათი ჩართულობის მიზნით, შეიქმნება სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა, რომელიც შედგება ევროკავშირის მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან, ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის (European Economic and Social Committee) წევრების ჩათვლით და საქართველოს მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან, აღმოსავლეთ

პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმის წარმომადგენელთა ჩათვლით.

სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა ინფორმირებული იქნება ასოცირების საბჭოს გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესახებ. სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმას შეუძლია ასოცირების საბჭოსათვის რეკომენდაციების მიცემა.

როგორ მოხდება ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოვება

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ზოგიერთ თავს ახლავს დანართი (სულ 34), რომელშიც მოცემულია ევროკავშირის კონკრეტული სამართლებრივი აქტები და მათთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოვების ვადები. შესაბამისად, საქართველოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოვება მოხდება ეტაპობრივად, შეთანხმებული ვადების მიხედვით

როგორ დაეხმარება ევროკავშირი საქართველოს შეთანხმების იმპლემენტაციაში

შეთანხმებით, საქართველო იღებს ვალდებულებას შესაბამის სფეროებში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან პროგრესული დაახლოვებისა და მისი ეფექტიანი იმპლემენტაციის კუთხით. ასევე ვალდებულებას, შესაბამისად განავითაროს თავისი ადმინისტრაციული და ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა. ევროკავშირი, თავის მხრივ, აღნიშნულის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს გაუწევს შესაბამის პოლიტიკურ, ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას

შეთანხმებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, ევროკავშირის ტექნიკური და ფინანსური დახმარება განხორციელდება შესაბამისი მექანიზმებისა და ინსტრუმენტების მეშვეობით. საქართველო, ასევე გაააქტიურებს თანამშრომლობას ევროპის საინვესტიციო ბანკთან (EIB) ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან

საქართველოს „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ განხორციელებაში ასევე დახმარებას გაუწევენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები და სხვა დონორები, საკუთარი დახმარების პროგრამების მეშვეობით

ვრცელდება თუ არა შეთანხმება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/ე.წ. სამხრეთ ოსეთი რეგიონებზე

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ვრცელდება, ერთის მხრივ, ევროკავშირის ტერიტორიაზე და მეორეს მხრივ, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში

შეთანხმების გამოყენება საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/ე.წ. სამხრეთ ოსეთი რეგიონებთან მიმართებით, რომლებზეც საქართველოს მთავრობა ვერ ახორციელებს ეფექტურ კონტროლს, დაიწყება მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობა ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე უზრუნველყოფს შეთანხმების სრულ იმპლემენტაციას. აღნიშნული აიხსნება იმით, რომ შეთანხმებით მონიჭებული უფლებებით სარგებლობისთვის აუცილებელია შესაბამისი ვალდებულებების შესრულება. შესაბამისად, შეთანხმება საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებზე გავრცელდება მაშინ, როდესაც საქართველო შეძლებს იურიდიული იურისდიქციის აღდგენას და შესაბამისი ვალდებულებების შესრულებას ამ ტერიტორიებზეც

რა არის ასოცირების დღის წესრიგი?

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის (Association Agenda) მიზანია „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ განხორციელებისთვის მომზადებისა და მისი ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობა. ასოცირების დღის წესრიგი წარმოადგენს „ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ აღებული ვალდებულებების პრიორიტეტული საკითხების სამწლიან (2014-2016) გეგმას. ამჟამად, მხარეთა შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები ასოცირების დღის წესრიგის შეთანხმების მიზნით.

ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისია

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისია საქართველოს მთავრობის #76 განკარგულებით 2004 წლის 10 ივლისს შეიქმნა. კომისიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი თავმჯდომარეობს. აღნიშნული კომისიის სამდივნოს ფუნქციებს ასრულებს საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში.

დებულების თანახმად, კომისიის ძირითადი ამოცანებია:

- საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესისა და ამ მიზნით საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების კოორდინირებული მოქმედების ხელშეწყობა;
- საქართველოს მთავრობისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს ევროკავშირთან და მის წევრ სახელმწიფოებთან კონკრეტულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საგანმანათლებლო, კულტურულ, სამართლებრივ და სხვა საკითხებთან დაკავშირებული თანამშრომლობის ეფექტიანობის ზრდას;
- ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობა და ამ მიზნით გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა და განხილვა;
- საქართველო-ევროკავშირის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების შესრულების ხელშეწყობა და საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ხელშეწყობა;

- საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭოს, კომიტეტისა და ქვეკომიტეტების რეკომენდაციათა შესრულების შესახებ ინფორმაციის მოსმენა და განხილვა;
- ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების რატიფიკაციის სტატუსი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ (2015 წლის 10 ივნისის მდგომარეობით)

ქვეყანა	რატიფიკაციის თარიღი	შეტყობინება გაეგზავნა ევროსაბჭოს სამდივნოს
საქართველო	რტიფიცირებულია პარლამენტის მიერ 18.07.2014	დასრულებულია; შეტყობინება გაეგზავნა 25.07.2014
ავსტრია	მიმდინარე	
ბერგია	მიმდინარე	
ბულგარეთი	რტიფიცირებულია პარლამენტის მიერ 24.07.2014	დასრულებულია; შეტყობინება გაეგზავნა 09.09.2014
ხორვატია	რტიფიცირებულია პარლამენტის მიერ 12.12.2014	დასრულებულია; შეტყობინება გაეგზავნა 4.03.2015
კვიპროსი	რტიფიცირებულია პარლამენტის მიერ 07.05.2015	
ჩეხეთის რესპუბლიკა	რტიფიცირებულია პარლამენტის მიერ 29.04.2015	
დანია	რტიფიცირებულია პარლამენტის მიერ 18.12.2014	დასრულებულია; შეტყობინება გაეგზავნა 18.02.2015
ესტონეთი	რტიფიცირებულია პარლამენტის მიერ 04.11.2014	დასრულებულია; შეტყობინება გაეგზავნა 12.01.2015

ფინეთი	რტიფიცირებულია პარლამენტის მიერ 25.03.2015	დასრულებულია; შეტყობინება გაეგზავნა 06.05.2015
საფრანგეთი	მიმდინარე	
გერმანია	რტიფიცირებულია პარლამენტის მიერ 26.03.2015	
საბერძნეთი	მიმდინარე	
უნგრეთი	რტიფიცირებულია პარლამენტის მიერ 24.11.2014	დასრულებულია; შეტყობინება გაეგზავნა 07.04.2015
იტალია	მიმდინარე	
ირლანდია	რტიფიცირებულია პარლამენტის მიერ 27.01.2015	დასრულებულია; შეტყობინება გაეგზავნა 17.04.2015
ლატვია	რტიფიცირებულია პარლამენტის მიერ 14.07.2014	დასრულებულია; შეტყობინება გაეგზავნა 02.10.2014
ლიტვა	რტიფიცირებულია პარლამენტის მიერ 08.07.2014	დასრულებულია; შეტყობინება გაეგზავნა 29.07.2014
ლუქსენბურგი	რტიფიცირებულია პარლამენტის მიერ 18.03.2015	დასრულებულია; შეტყობინება გაეგზავნა 12.05.2015
მალტა	რტიფიცირებულია პარლამენტის მიერ 21.08.2014	დასრულებულია; შეტყობინება გაეგზავნა 29.08.2014
ახალი ზელანდია	მიმდინარე	
პოლონეთი	რტიფიცირებულია პარლამენტის მიერ 05.03.2015	დასრულებულია; შეტყობინება გაეგზავნა 22.05.2015
პორტუგალია	რტიფიცირებულია პარლამენტის მიერ	

	02.04.2015	
რუმინეთი	რტიფიცირებულია პარლამენტის მიერ 03.07.2014	დასრულებულია; შეტყობინება გაეგზავნა 14.07.2014
სლოვაკეთი	რტიფიცირებულია პარლამენტის მიერ 23.09.2014	დასრულებულია; შეტყობინება გაეგზავნა 21.10.2014
სლოვენია	რტიფიცირებულია პარლამენტის მიერ 13.05.2015	
ესპანეთი	რტიფიცირებულია პარლამენტის მიერ 27.05.2015	
შვედეთი	რტიფიცირებულია პარლამენტის მიერ 26.11.2014	დასრულებულია; შეტყობინება გაეგზავნა 09.01.2015
გაერთიანებული სამეფო	რტიფიცირებულია პარლამენტის მიერ 19.03.2015	დასრულებულია; შეტყობინება გაეგზავნა 08.04.2015

უმცირესობათა უფლებები აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის ფარგლებში

საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური მრავალფეროვნება

საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა. საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის უმეტესობას აზერბაიჯანელი და სომეხი მოსახლეობა წარმოადგენს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის მიერ 2002 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით, საქართველოში 284 761-მდე ეთნიკურად აზერბაიჯანელი ცხოვრობს, რაც ქვეყნის მთელი მოსახლეობის 6.5%-ია. რაც შეეხება სომხებს, ისინი ქვეყნის მთელი მოსახლეობის 5.7%-ს შეადგენენ (248 929). აზერბაიჯანელები საქართველოს რამდენიმე რეგიონში, ძირითადად კომპაქტურად არიან დასახლებულნი. 2002 წელს ქვემო ქართლის მთელი მოსახლეობის 45%-ს შეადგენდნენ, თუმცა ქვემო ქართლის რეგიონში შემავალ ოთხ რაიონში (ეჭვსიდან) ისინი აბსოლუტურ ან შედარებით უმრავლესობაში იმყოფებიან: მარნეულის რაიონი — 98 245 (83.1%), დმანისის რაიონი — 18 716 (66.7%), ბოლნისის რაიონი — 49 026 (66%),

გარდაბნის რაიონი — 49 993 (43.7%). ქვემო ქართლის გარდა, აზერბაიჯანელების კომპაქტური დასახლებებია: თელავის რაიონში — 8 373 (11.9%), ლაგოდეხის რაიონში — 11 392 (22.3%) და საგარეჯოს რაიონში — 18 907 (31.9%); მცხეთის რაიონში — 2 236 (3.5%) და კასპის რაიონში — 3 962 (7.6%). რაც შეეხება მეორე დიდ ეთნიკურ უმცირესობას, სომხებს, დღეისათვის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ - ახალქალაქის (57 516 სული, 94.3%), ნინოწმინდისა (32 857 სული, 96%) და წალკის რაიონებში (11 484 სული, 55%). საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ რუსი, ოსი, ბერძენი, ებრაელი, აფხაზი, ქურთი და ბოშა მოსახლეობა.

ეთნიკური უმცირესობები და ევროპული არჩევანი

ევროპული არჩევანი საპასუხისმგებლო, ისტორიული მომენტი, ამ პროცესში კი ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა ახალი საზოგადოებრივი თვითშეგნების, მართლწესრიგისა და სოციალური გარემოს შექმნისთვის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. მნიშვნელოვანია, მოხდეს მათი სათანადოდ ინფორმირება, თუ რა პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი. პრობლემის დაძლევისთვის საჭიროა მათ ჰქონდეთ სრულფასოვანი ინფორმაცია ევროპული არჩევანის სიკეთებისა და მნიშვნელობის შესახებ, ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის და პროგრამის ფარგლებში უმცირესობათა უფლებების ადვოკატირების შესახებ

ეთნიკური უმცირესობების არჩევით დემოკრატიაში თანამონაწილეობა

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აქტიურად მუშაობს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთათვის თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნაზე. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებისთვის, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთათვის სრულფასოვანი მონაწილეობის მიღების მიზნით, დაიგეგმა შემდეგი ღონისძიებები:

- ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთათვის თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა;
- კენჭისყრის დღეს, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა მონაწილეობის უზრუნველყოფა

ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე თავსდება არჩევნებისთვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ნათარგმნი საარჩევნო მასალები. ასევე, ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებული მონაცემები, ხელმისაწვდომია კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი ამომრჩეველებისათვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე

(გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, წალკის, თეთრიწყაროს, ახალციხის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიებში რეგისტრირებული ამომრჩევლების შესაბამისად). ცესკო-ს კონტაქტ-ცენტრის საშუალებით, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება ხელმისაწვდომია სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე

2012 წლიდან, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთათვის თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნის მიზნით, სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებისთვის ეროვნული უმცირესობებისთვის შეიქმნა 340 საარჩევნო უბანი;
- ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობის მიზნით გატარდა შემდეგი სახის ღონისძიებები: თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა, კენჭისყრის დღეს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა მონაწილეობის უზრუნველყოფა;
- მოხდა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდა ამომრჩეველთა ინფორმირება;
- ითარგმნა ეროვნული უმცირესობების ენებზე საარჩევნო დოკუმენტაცია;
- ითარგმნა საარჩევნო ბიულეტენები.

მნიშვნელოვანია ყურადღება დაეთმოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ადგილობრივი მოქალაქეების უშუალო მონაწილეობას დემოკრატიის განხორციელების პროცესში. ამ მიმართულებით, ინტერესს იწვევს სტატისტიკური მონაცემი, რომელიც გამოხატავს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონის მოსახლეობის ჩართულობას ეროვნული და ადგილობრივი დონის არჩევნებში მონაწილეობისთვის.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში იყო შემდეგი აქტივობა:

- ახალციხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იყო 36407 ამომრჩეველი გამოცხადდა 23895 ამომრჩეველი ანუ 65.63 პროცენტი.
- მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იყო 98762 ამომრჩეველი გამოცხადდა 43440 ამომრჩეველი ანუ 43.98 პროცენტი.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში იყო შემდეგი აქტივობა:

- ახალციხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იყო 35120 ამომრჩეველი გამოცხადდა 17867 ამომრჩეველი ანუ 50.87 პროცენტი.
- მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 97838 ამომრჩეველი გამოცხადდა 31900 ამომრჩეველი ანუ 32.6 პროცენტი.

2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებში იყო შემდეგი აქტივობა:

- ახალციხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იყო 34467 ამომრჩეველი გამოცხადდა 17415 ამომრჩეველი ანუ 50.53 პროცენტი.
- მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იყო 96000 ამომრჩეველი გამოცხადდა 32601 ამომრჩეველი ანუ 33.96 პროცენტი.

© ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“

ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობისა და
განხორციელებული/მიმდინარე კვლევების, პროექტებისა და დასკვნების
შესახებ, ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ საიტზე: www.barristers.ge
FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi
<http://www.youtube.com/youngbarristers>
მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალო, ისაკაძის ქუჩა #7
ორგანიზაციის ტელეფონი: 2 374509, 2 374503

ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
ცაბო გუგუნაშვილი – 599 010344

ელექტრონული ფოსტა: Pryoungbarristers@yahoo.com;
Pryoungbarristers@gmail.com
ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094
დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივლისი
ბანკი: სს პროკრედიტ ბანკი, ორთაქალის ფილიალი
ანგარიშის ნომერი: GE92PC0563600100002778

ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ

ორგანიზაციის სახელწოდება: ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094
მისამართი: თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქ. #7

ელ-ფოსტა: pryoungbarristers@yahoo.com;

იურიდიული სტატუსი: არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი
დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივლისი

ვებ-გვერდი: www.barristers.ge

FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi

ბანკი: სს პროკრედიტ ბანკი, ორთაჭალის ფილიალი

ანგარიშის ნომერი: GE92PC0563600100002778

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ახალგაზრდა ადვოკატები“ დაფუძნდა 2012 წლის 9 ივლისს. ორგანიზაციის დევიზია: „ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა“. ორგანიზაცია წარმოადგენს ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციას და დაფუძნების დღიდან ერთ-ერთი აქტიური პოზიციის მქონე ორგანიზაციაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში, საზოგადოებრივი ინტერესებისა და ინსტიტუციური რეფორმების შეფასების პროცესში.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ 2012 წლიდან წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამუშაო ჯგუფის წევრ ორგანიზაციას. 2012 წლიდან არის არასამთავრობოთა ალიანსის: „ეკონომიკური სამართლიანობისა და ბიზნესის თავისუფლებისთვის“ თანადამფუძნებელი და წევრი. 2013 წლიდან წარმოადგენს „სისხლის სამართლის რეფორმის საქართველოს ალიანსის“ წევრ ორგანიზაციას. 2014 წელს გახდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის წევრი. 2014 წელს გაწევრიანდა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოში, ხოლო 2014 წლის 22 დეკემბრიდან, საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ორგანიზაციის ხელმძღვანელი. „ახალგაზრდა ადვოკატები“, სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ გადაწყვეტილებით, დასახელდა „2014 წლის ყველაზე აქტიურ უფლებადაცვით ორგანიზაციად“.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ 2015 წლიდან ჩაერთო ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის მიმართულებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწესთან არსებულ სამუშაო ჯგუფში. 2015 წლიდან ორგანიზაცია მონაწილეობას მიიღებს საქართველოს მთავრობის ინიციატივით შექმნილ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების საკითხებზე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შემსწავლელ სამუშაო ჯგუფში. ამასთან, 2015 წლის თებერვალში, ორგანიზაცია აღმოჩნდა ერთ-ერთი წარმდგენი და მხარდამჭერი, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ნინო გვენეტაძის კანდიდატურა შესთავაზა. 2015 წლის აპრილიდან, ორგანიზაცია ჩაერთო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მუშაობაში. 2015 წლის 30 აპრილს, „ახალგაზრდა ადვოკატების“ ინიციატივით, დაფუძნდა არასამთავრობო

ორგანიზაციათა მუდმივმოქმედი ალიანსი: „ასოციების ხელშეკრულების ხელმოწერიდან ევროკავშირის წევრობამდე“.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ თანამშრომლობს პროფესიულ ჯგუფებთან, საჯარო დაწესებულებებთან, კერძო სექტორთან, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან. ორგანიზაცია მიმართულია კვლევით საქმიანობაზე, ახორციელებს სხვადასხვა პროექტს, ამზადებს დასკვნებს, რეკომენდაციებს, საკანონმდებლო წინადადებებს, ჩართულია ახალგაზრდული პოლიტიკის, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და სამართლებრივი რეფორმების შეფასებაში. ამ მიმართულებით, ორგანიზაცია 2013 წლიდან ახორციელებს ინიციატივას: „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“. ორგანიზაცია ახორციელებს უფასო იურიდიული კონსულტაციის პროგრამას. გამოსცემს პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალს და ამზადებს ყოველთვიური საქმიანობის მედია-დაიჯესტს.

ორგანიზაციის პოზიცია არაერთხელ გამხდარა დისკუსიის საფუძველი მას შემდეგ, რაც „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ პრინციპული პოზიცია დაასაბუთეს 2003-2012 წლებში, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევის, სისტემური დანაშაულებისა და მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების კანონშეუსაბამო მოქმედებების თაობაზე. ორგანიზაციის მკვეთრი პოზიცია, ცალკეული ჯგუფების მხრიდან აღქმულია, როგორც მიკერძოებული დამოკიდებულება. შესაბამისად, ორგანიზაციის ბიოგრაფიის ნაწილია ცალკეული სასამართლო დავებიც, რომლიც მიზნად „ახალგაზრდა ადვოკატების“ საქმიანი რეპუტაციის დაცვას და ცილისწამებით მიყენებული ზიანის აღდგენას გულისხმობს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ მოქმედებს წესდების, შინაგანაწესისა და შიდა ნორმატიული აქტების საფუძველზე. გააჩნია საქმიანობის სტრატეგიული ხედვის დოკუმენტი, რომელიც პერიოდულად ახლდება. 2015 წლის იანვრიდან, „ახალგაზრდა ადვოკატები“, კაბინეტურ მმართველობაზე გადავიდა. ორგანიზაციის ახალი წესდებით, შეიცვალა მმართველობითი რგოლი. ორგანიზაციას, სადამფუძნებლო საბჭოს ერთპიროვნული მმართველობის ნაცვლად, უხელმძღვანელებს ორი წლის ვადით არჩეული ხელმძღვანელი. ხელმძღვანელი აკომპლექტებს კაბინეტს (გუნდს), რომელიც ანგარიშვალდებულია სადამფუძნებლო საბჭოს და ყველა სხვა მესამე პირთან მიმართებით.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შემოსავლის წყაროა: საგრანტო პროექტები, შემოწირულობები და კანონით ნებადართული სხვა შემოსავლები.

მნიშვნელოვანი კვლევები/მონიტორინგი

- კვლევა:** „საქართველოს მთავრობა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაციის პროცესში“, 2015
- კვლევა:** „მოქალაქეები მთავრობის საჯარო პოლიტიკის პროცესში 2014 წელს“, 2015
- კვლევა:** „საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლის სამართლებრივი საკითხი“, 2014
- კვლევა:** „სისტემა მოქალაქის წინააღმდეგ - აჭარაში ქონებაჩამორთმეულთა საქმე“, 2014
- კვლევა:** „უცნობი მილიონი ლარი – ფილმ „აგვისტოს 5 დღის“ საქველმოქმედო ვახშმის შესახებ“, 2014
- კვლევა:** „კერძო სექტორში დასაქმებული დედების უფლებრივი მდგომარეობა“, 2014
- კვლევა:** „პოლიტიკოსების ქონებრივი დეკლარაცია და მათი ფარული ბიზნეს ინტერესები“, 2014
- კვლევა:** „ქართული რეიტინგული კომპანიები შრომის კოდექსის ახალ სტანდარტებთან იმპლემენტაციაში“, 2014
- კვლევა:** „მოქალაქეები მთავრობის საჯარო პოლიტიკის პროცესში“, 2013
- კვლევა:** „საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების სამართლებრივი ანალიზი“, 2013
- კვლევა:** „საპრეზიდენტო კანდიდატებისა და საპრეზიდენტო არჩევნების ნდობის რეიტინგი“, 2013
- კვლევა:** „რწმენისა და აღმსარებლობის გამოხატვის შესაძლებლობა საქართველოში“, 2013
- კვლევა:** „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯ „ახალი ტალღის“ ადმინისტრაციული მმართველობის გამჭვირვალობის შესახებ“, 2013
- კვლევა:** „ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გამჭვირვალობა და საჯაროობა 2012 წელს“, 2013
- კვლევა:** „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2013 წლის 16 აგვისტოს არჩევნების მონიტორინგი“, 2013
- კვლევა:** „საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა ქართული ანაბრების პრობლემის სამართლებრივი ანალიზი“, 2013
- კვლევა:** „პარლამენტის წევრობის ახალგაზრდული ასაკის პოლიტიკური მიზანი და საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა“, 2012
- კვლევა:** „საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიების საარჩევნო პროგრამები“, 2012
- კვლევა:** „გამოხატვის თავისუფლების საკითხი დამოუკიდებელი ტელეკომპანიების საქმიანობაში“, 2012

*„ახალგაზრდა ადვოკატებისთვის“ მნიშვნელოვანია მკითხველის აზრი
წარმოდგენილი კვლევის შესახებ.*

*თუკი გსურთ მიიღოთ და გაეცნოთ კვლევის
ელექტრონულ ვერსიას, გთხოვთ ორგანიზაციას
დაუკავშირდეთ ელექტრონულ მისამართზე:
pryoungbarristers@yahoo.com*



ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

«Форум Этнических Меньшинств – 2015»

Информационная кампания

относительно продвижения Восточного партнерства

в вопросах национальных меньшинств



MINORITIES NETWORK
EASTERN PARTNERSHIP



© организация «Молодые адвокаты»
июнь, 2015
г. Тбилиси

Над проектом работала
команда организации «Молодые адвокаты»

Менеджер проекта
Арчил Каикацишвили

Координатор проекта
Нино Исакадзе

Редактор издания
Джумбер Сирабидзе
